ფონდი ოთხთავის ძველი ქართული

287 1 95

287 1 95

დასკანირებულია 15.01.2025 (1)

W44 „წიგნის სამყარო", 1983, 27/IX

ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐ

მკითხველისა და პაციენტის თვალთახედვით

— თუ წიგნის ღირსება წინასწარ გინდა გაიგო, — მითხრა ერთხელ ნაცნობმა ბუკინისტმა. — სათაურების სარკეში უნდა ჩაიხედო. მის ზედაპირზე ყველაფერი ერთბაშად მოჩანს.

— ავტორის სახეც-მეთქი? — ვკითხე ისე, პასუხს — ვ მოვითხოვდი.

ბუკინისტი ცნობისმოყვარედ ჟმაჩერდა, სათვალე გაისწორა, თვალები, რომ იტყვიან, პირდაპირ თვალებში გამიყარა და მერე, თითქოს თავისთვის, დაბალი ხმით ჩაილაპარაკა:

— ავტორის სახე წიგნის ფურცლებზეა განფენილი. იგი ისევე უჩინარია, როგორც ჩვენ მკერდქვეშ მიმალული გული, მაგრამ, როგორც ჩვენი სუნთქვა და სიცოცხლე გულის დინამიკაზეა დამყარებული, წიგნის მზიანობაც ავტორის გზიანობაზეა დამოკიდებული.

ეს მივიწყებული, მეხსიერების „ჯურღმულში" სადღაც გადაკარგული დიდი ხნის ეპიზოდი უნებლიედ გამახსენდა, როცა ამას წინათ შემთხვევით ხელში ჩავარდნილი ერთი წიგნის სარჩევს დავუწყე თვალიერება.

ყურადღებით გადავიკითხე სარჩევის ქვეშ მოქცეული სათაურები: „ცოდნამ უმცროს-უფროსობა არ იცის", „ისტორია ცხოვრების მასწავლებელია", „გმირობა, ნამდვილი გმირობა", „რომ იყო ანთებული სანთლის სადარი" და სხვა. მომეწონა დალაგება, თანამიმდევრობა, მასში ჩაქსოვილი მხატვრულობის ის ელემენტარული ნიშნები, რომლებიც თავისთავად აცილდებიან ხოლმე და კითხვის დროს აღძრავენ ემოციებს, გაიძულებენ სულმოუთქმელად, „ერთის დაკვრით" აღიქვა მთელი წიგნი, ათი იქნება ასი, თუ ათასგვერდიანი.

საქმე აქ გვერდების რაოდენობას როდი ეხება, არამედ იმ იდუმალებას, რომლის მიხედვით შენი მრწამსისაგან სრულიად დაშორებული სფერო ზოგჯერ, უცებ, შენთვისაც ისეთივე ახლობელი და განუყრელი აღმოჩნდება, ისე შემოგეკვრება და შემოგეთვისება, როგორც ბავშვობიდან თან შეზრდილი ღვიძლი ნათესავი.

ნათქვამი უფრო გასაგები რომ გახდეს, სანამ წიგნსა და მის ავტორზე რაიმეს ვიტყოდეთ, მოდი მკითხველს გავაცნო ზოგი რამ თვით განსახილველი საკითხის გარშემო.

1. ...არის მეცნიერების ერთი დარგი, რომელიც ყველას თანაბრად უნაწილებს საკუთარი მზის სითბოს, რომელსაც ყველა ეტანება და რომლის გადაუხდელი ვალი ხარკად მიჰყვება ყოველ მომაკვდავს.

ასეთია მედიცინა.

მისი ჩანასახი ადამიანთა საზოგადოების უშორესი წარსულიდან იღებს სათავეს. იმ უძველესი დროიდან პაციენტისა და მკურნალის ურთიერთამოკიდებულება დღისა და ღამის მონაცვლეობას ჰგავს. როცა დღის ინტენსიურ შრომაში ჩავეფლობით, ღამე გვავიწყდება, ღამის ბურანში — დღე.

2. ჯანმრთელობა — სინათლის ჯაშანში ადამყოფობა — სიბნელის უშაქისებური როკვა. ორივე დღეღამისადით თან სდევს ერთმანეთს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ შუალედი ამ უკანასკნელში დასაბამიდან განსაზღვრულია და გამორიცხავს ყოველგვარ მოულოდნელობას, პირველში კი — დასაბამითვე განუსაზღვრელია და ემყარება გარემოებათა და შემთხვევათა ფაქტორებს. ამიტომაც არის, ექიმი მხოლოდ სნეულების დროს გვესახება მხსნელ ანგელოზად და იმედის პრომეთეოსად.

3. თუ შენ დაუძლურებული ხარ და მწრალარე, იცოდე, ექიმის საათნოება და სიფაქიზე წამალივით უეჭველია შენთვის. პირველი სულს ეფხინება, მეორე — სხეულს. ჭეშმარიტი დასტაქარი სულის გაჯანსაღებიდან იწყებს სხეულის დარღვეული წონასწორობის აღდგენას. ამისათვის მას ერთი რამ სჭირდება: თვალთა, ბაგეთა და გრძნობათა გამონაშუქის ისე შეზავება გულისხმიერებისა და ყურადღების საკმაზში, რომ მოქმედება თვით ავლენდეს ექიმში ადამიანურ სიკეთეს და არა ადამიანში — ექიმის მოვალეობას.

4. ამ მოვალეობის შესრულება ზოგჯერ თავგანწირვაა შენთვის, ზოგჯერ თავგამოდება, ზოგჯერ კი — უბრალოდ იმედით გამხნევება. სამივე შემთხვევაში ექიმი შენი სიცოცხლის ფხიზელი დარაჯია და ნუ დაგვიწყდება ამ სიცოცხლის უჩინარ ციცაბოზე სულ მუდამ გუშაგად დგომა მისთვის

ტრაქტულად და არა მხოლოდ კოლეგებისათვის, არამედ სამედიცინო კულტურის ამაღლებით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის ისე ცხადად და ზარგვით, ისე დამაჯერებლად და ლოგიკურად ისე ღრმად და საფუძვლიანად, რომ არ შეიძლება ყოველივე ამან ძალაუნებურად ავტორისადმი საყოველთაო სიყვარული და პატივისცემა არ გამოიწვიოს.

ამ პატივისცემასა და სიყვარულს აძლიერებს კონკრეტული მაგალითებისა და მასალების სიუხვე და სიმდიდრე, შინაგანი საუკეთესო ადამიანური თვისებების, ცხოვრებისეული დიდი გზისა და გამოცდილების, საგნის ღრმა ცოდნის, მაღალი ზნეობის, პროფესიული საქმისადმი თავდადებული ერთგულების საკუთარი პრიზმიდან დანახული და განმჭვრეტილი ფაქტების ისეთი მკაფიო, ნათელი ანალიზი, რომელსაც ფართო საზოგადოებრივ-შემეცნებითი მნიშვნელობა აქვს. წიგნში ერთმანეთთან შეზავებული და შერწყმულია მეცნიერული და მხატვრული აზროვნების ელემენტები, რაც ავტორის მსჯელობას ანიჭებს გარკვეულ ფერადოვნებას, ადვილად გასაგებს და მისაწვდომს ხდის მას და თავისი ემოციური მიმზიდველობით ერთბაშად იპყრობს მკითხველის გულსა და გონებას.

ეს საერთო შთაბეჭდილება პირადად ჩემთვის, როგორც მკითხველისათვის, იმითაც არის საინტერესო, რომ წიგნმა აღმიდგინა

ყველა ეს და სხვა ასეთი ფრაგმენტული, გულუბრყვილო აზრები ჩემი ავადმყოფობის დროიდან, 1964 წლიდან სამედიცინო დარგის სხვადასხვა სპეციალობის წარმომადგენლებთან პირადი ურთიერთობებიდან შემომეშავდა და, ცხადია, მხოლოდ საკუთარ დაკვირვებებს ემყარება. ამავე დროიდან ჩემში მედიცინისადმი უსაზღვრო ნდობისა და პატივისცემის გრძნობა იმიტომ კი არ არის ჩაბუდებული, ამ დარგის ლიტერატურის კითხვით დიდად გატაცებული ვიყო. თვით გამოცდილე მძიმე გაჭირვების ჟამს თეთრხალათიანთა განსაკუთრებული როლი სიკვდილ-სიცოცხლის გზაჯვარედინზე, და ეს ყოველთვის ჩაუქრობელ ლამპრად მინთია გულში.

უნდა გამოვტყდე, როცა პირველად დავხედე წიგნის სახელწოდებას — „ერთგულება ექიმის ფიცისა" ერთი შეხედვით უცნაურად რაღაც ტრაფარეტულად მომეჩვენა. ხომ იწერება ასეთი სახელწოდების წიგნები სამხედრო ფიცის ერთგულებაზე, ჭალაკულ პროფესიათა და ვინ იცის, კიდევ რა სახის — თუნდაც სიყვარულის — ფიცზე? და მათში უმთავრესად ყოველთვის პათეტიკური ექსტაზი, რიტორიკული წყობილსიტყვაობა და დიდმარტივური სენტენციები ჭარბობს.

მაგრამ ისე, როგორც სარჩევის სათაურებმა, თვით წიგნმა თავისი შინაარსით არა თუ გამაოცა და მომხიბლა, არამედ აღმაფრთოვანა და სულიერად ამამაღლა თუნდაც იმ სულ უბრალო რამით, რომელსაც საკუთარი გულისნადების, გულისთქმის თუ შეხედულების არ ეკვლას ეძახიან. სად ჩემი — პაციენტის აზრი და შეხედულება და სად — შედიცინის მეცნიერების გამოჩენილი სპეციალისტისა?!

პროფესორ ვასილ ბაბუხადიას წიგნის მთავარ ღირსებას მე სწორედ ამაში ვხედავ. იგი გამობატავს ჩემი და ჩემისთანა უამრავი პაციენტის სათქმელს და საფიქრალს, სატკივარს და საწადელს. წიგნში სამედიცინო დეონტოლოგიისა და საექიმო ეთიკის აქტუალური საკითხები გაშუქებულია არა აბსტრაქტულად და არა მხოლოდ კოლეგებისათვის, არამედ სამედიცინო კულტურის ამაღლებით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის ისე ცხადად და ზარგვით, ისე დამაჯერებლად და ლოგიკურად ისე ღრმად და საფუძვლიანად, რომ არ შეიძლება ყოველივე ამან ძალაუნებურად ავტორისადმი საყოველთაო სიყვარული და პატივისცემა არ გამოიწვიოს.

ამ პატივისცემასა და სიყვარულს აძლიერებს კონკრეტული მაგალითებისა და მასალების სიუხვე და სიმდიდრე, შინაგანი საუკეთესო ადამიანური თვისებების, ცხოვრებისეული დიდი გზისა და გამოცდილების, საგნის ღრმა ცოდნის, მაღალი ზნეობის, პროფესიული საქმისადმი თავდადებული ერთგულების საკუთარი პრიზმიდან დანახული და განმჭვრეტილი ფაქტების ისეთი მკაფიო, ნათელი ანალიზი, რომელსაც ფართო საზოგადოებრივ-შემეცნებითი მნიშვნელობა აქვს. წიგნში ერთმანეთთან შეზავებული და შერწყმულია მეცნიერული და მხატვრული აზროვნების ელემენტები, რაც ავტორის მსჯელობას ანიჭებს გარკვეულ ფერადოვნებას, ადვილად გასაგებს და მისაწვდომს ხდის მას და თავისი ემოციური მიმზიდველობით ერთბაშად იპყრობს მკითხველის გულსა და გონებას.

ეს საერთო შთაბეჭდილება პირადად ჩემთვის, როგორც მკითხველისათვის, იმითაც არის საინტერესო, რომ წიგნმა აღმიდგინა

ომის მძიმე პერიოდის მოგონებანი, რომლებიც დაკავშირებულია 1942 წელს კავკასიის მისადგომების გმირულ დაცვასთან. 44-45-ე გვერდებზე აღწერილია 392-ე ქართული მსროლელი დივიზიის დონჯუზ-ორჯონის ულელტეხილზე ლეგენდარული ლაშქრობის ისტორიული ამბავი, რომლის უშუალო მონაწილე მაშინ სრულიად ახალგაზრდა სამხედრო ექიმი ვასილ ბაბუხადიაც იყო. მანამდე დივიზიას ყაბარდო-ბალყარეთის მთებსა და ველებზე სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლები ჰქონდა გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებთან. ვასილ ბაბუხადია სხვებზე წერს (გვ. 42-43) და მე თვით მოწმე ვარ, როგორ ვაჟკაცურად იბრძოდა იგი ავტომატით და სულხელით ხელში სამშობლოს დასაცავად, როგორ თავდადებით ასრულებდა ერთდროულად მებრძოლი ჯარისკაცისა და ექიმ-ქირურგის უწმინდეს მოვალეობას.

დღეს მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფ. ვასილ ბაბუხადია უროლოგიის დარგის ყველასათვის ცნობილი, გულისხმიერი, საყვარელი და სამაგალითო სპეციალისტია. მახარებს ფრონტელი მეგობრის ყოველი წარმატება. შაგრამ ამ წარმატებათა შორის „საბჭოთა საქართველოს" მიერ გამოცემული მისი წიგნის — „ერთგულება ექიმის ფიცისა" პოპულარობა, მკითხველისა და პაციენტის თვალთახედვით, ერთ-ერთ ღირსშესანიშნავ მოვლენად მიმაჩნია.

ასეთი წიგნი სჭირდება ყველას — ვინც გამოსცადა და ვისაც არ გამოუცდია ავადმყოფობა, ვინც მკურნალის საპატიო სახელს ატარებს და ემზადება მის მოსაპოვებლად, ვინც ღირსეულად იცავს და ზოგჯერ არღვევს საზოგადოებრივი თუ პროფესიონალური ეთიკის ნორმებს, სჭირდება როგორც ზნეობრივი კოდექსის სამაგიდო სახელმძღვანელო.

აკაკი თოფურია,
ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე.

ს აზრები

მის აზრს მაინც არავინ უწევს ანგარიშს, სჯობია ბრიყვი გაგინებდეს, ვიდრე გაქებდეს.

● ხიკვდილი უფრო ადვილია, როცა ხიკვდილზე არ ფიქრობ, ვიდრე ხიკვდილზე ფიქრი, როცა ხიკვდილი არ გემუქრება.

● როცა დღის წესრიგში დგება ხაკითხი: ხაჭიროა თუ არა დავიწყოთ ომი, ხახიკვდილოდ გავწიროთ ამდენი კაცი, მუხრი გავაყლოთ ამდენ ეხპანელს და ა. შ. უველაფერს წყვეტს მხოლოდ ერთი, ერთადერთი და იხიც ანგარებით ხავხე კაცი, ვინმე გარეშე და უანგაროს მაინც გადაეწყვიტა.

● ჩვენ მხოლოდ უნდა ვუმადლოდეთ ომახ, ვინც დაუნდობლად ამხილებს ჩვენს ნაკლსა და შანკიერებას, ვინაიდან მანკი მომაკვდინებელია. მისი წყალობით ვხვდებით იმას, რომ ხალხს ვეზიზღებით. ჩვენ იმდენი ნაკლი გვაქვს, რომ ცხადია, მოყვახთა ზიზღისაგან ვერ დაგვიფარავს, მაგრამ ის მაინც შეუძლია, რომ მის მიერ მხილებული ნაკლის გამოსწორებახა და შანკიერების აღმოფხვრაში შეგვიწყოს ხელი.

● პატივმოყვარეობა — აი, ადამიანის ყველაზე მდაბალი თვისება და, იმავდროულად, მისი ხიდიადის ყველაზე უტუცარი ნიშანი, რადგან თვით უზარმაზარი ადგილ-მამული, შეხაშური ჯანმრთელობა, აურაცხელი ავლა-დიდება არ აკმაყოფილებს მას, თუკი მოყვახთა პატივისცემით არ არის გარემოხილი. ყველაზე მეტად ის აფახებს ადამიანის ხულს და, რაღაც ხაპატიო ადგილიც უნდა ეჭიროს ცხოვრებაში, მაინც უკმაყოფილო იქნება, თუ ახეთივე ადგილი არ უჭირავს მოყვახის ხულში. ეს არის ყველაზე მშვენიერი ადგილი ამქვეყნად და ვერავინ ვერახოდეს ვერ აღმოფხვრის კაცის გულიდან მისკენ ლტოლვახა და მისი დაუფლების ხურვილს.

● თვით იხიც კი, ვისაც ყველაზე მეტად ეზიზღება ადამიანი და ცხოველთან აიგივებს მას, თავისდა უნებურად მისი ხიყვარულისა და პატივისცემის მოხვეჭას ცდილობს, მას არ შეუძლია წინააღმდეგობა გაუწიოს თავის ყოვლისმძლე ბუნებას, რომელიც უფრო დაბეჯითებით უმტკიცებს ადამიანს ხიდიადეს, ვიდრე გონება — მის ხიმდაბლეს და უბადრუკობას.

ამოკრებილია ბ. პასკალის წიგნიდან „აზრები“ (გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“).

ᲨᲔᲒᲠᲘᲜᲘᲡ ᲮᲡᲝᲕᲜᲐᲡ

გარდაიცვალა კულტურის დარგის ღვაწლმოსილი მუშაკი ზაქარია ვარლამის ძე ჩხარტიშვილი.

ზ. ჟ. ჩხარტიშვილი დაიბადა 1912 წელს, მახარაძის რაიონის სოფელ ჯუმათში. დაამთავრა თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის გეოგრაფიის ფაკულტეტი. 1937 წელს მუშაობდა მცხეთის რაიონის ნიჩბისის საშუალო სკოლის დირექტორად. 1941-1945 წლებში იბრძოდა დიდ სამამულო ომში. სამამულო ომიდან დაბრუნების შემდეგ მუშაობდა თბილისის №38 საქალაქო ბიბლიოთეკის გამგედ. 1958-1970 წლებში არჩეული იყო თბილისის საქალაქო ბიბლიოთეკების ქსელის პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარედ.

ხანგრძლივი, ნაყოფიერი მუშაობისათვის ზ. ჩხარტიშვილს მინიჭებული ჰქონდა საქართველოს სსრ დამსახურებული ბიბლიოთეკარის საპატიო წოდება. დაჯილდოებული იყო მედლებით.

ზ. ჩხარტიშვილმა მთელი თავისი სიცოცხლე მოახმარა კულტურის დარგში ნაყოფიერ და კეთილსინდისიერ მუშაობას. მისი ხსოვნა დიდხანს დარჩება მეგობართა გულში.

ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲔᲑᲘᲡ ᲯᲒᲣᲤᲘ.

ᲙᲘᲗᲮᲐᲠᲘ, ᲕᲘᲜ ᲐᲠᲘᲡ...

ქ. ვალერი

„მითხარი, რაზე ოცნებობ და გეტყვი, ვინა ხარ“, — მიმართავს თანამედროვეს ელზა ტრიოლე.

„მითხარი რას მიირთმევ, და გეტყვი ვინა ხარ“, — გვპირდება ფრანგი კულინარი და მწერალი ბრია სავარინი.

„მითხარი, რას კითხულობ, და გეტყვი ვინა ხარ“, — ადასტურებს ესპანელი მწერალი ენრიკე ჰარდიელ პონსელა.

„მითხარი, ვინ არის შენით მოხიბლული, და გეტყვი ვინა ხარ“, — აგებს მახეს ფრანგი კრიტიკოსი და მწერალი სენტ-ბევი.

„მითხარი, ვინ არის შენი მტერი, და გეტყვი ვინა ხარ“, — წერს ამერიკელი ჯოშ ბილინგსი, — რომელსაც მიამიტურად ჰგონია, რომ გაუადვილდება მტრის გამოაშკარავება.



„მითხარი, რაზე იცინი და გეტყვი ვინა ხარ“, — ცდილობს თანამედროვეში იუმორის გრძნობის დადგენას ცნობილი ფრანგი მწერალი მარსელ პანიოლი.

„მითხარი, რას ფიქრობ საკუთარ თავზე, და გეტყვი რაც არა ხარ“, — საკმაოდ პესიმისტურად იუწყება ანრი ფრანსუა ამიელი.

„მითხარი, რა გსურს, და გეტყვი, რა გაქვს“, — წერს ონორე დე ბალზაკი.

ილია ილფი კი, ეტყობა დიდი პირადი გამოცდილების საფუძველზე იმ პირებთან ურთიერთობის დროს, რომლებიც გულგრილი არ არიან სულიერ ფასეულობათა მიმართ, კატეგორიულად აცხადებს: „მითხარი, რა ეწოდება ამ წიგნს, და გეტყვი, ვის მოპარე ის“.

მკითხველს მივანდოთ თვითონ განსაჯოს, სწორ პასუხებს დასმულ კითხვებზე რამდენად შეუძლია ჩვენს წინაშე გადაშალონ თანამედროვის სული. პირადად ჩვენ დავუმატებდით კიდევ ერთ მნიშვნელოვან პუნქტს: „მითხარი, როგორი ხუმრობა იცი, და გე-